

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი



ქირურგიული ხელთათმანების (CPV33141420)

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით სახელმწიფო შესყიდვა

დაფინანსების წყარო: შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის საკუთარი სახსრები.

ქ. თბილისი

2011

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია.....3
2. შესყიდვის ობიექტისადმი ტექნიკური მოთხოვნები და მიწოდების ვადები. დანართი №1.....5
3. სატენდერო წინადადება, დანართი №2.....6
4. ფასების ცხრილი, დანართი №37
5. სახელმწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულების პროექტი, დანართი №4....8
6. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა, დანართი №511
7. აფიდავიტი, დანართი №6 12

ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად. იხ. <http://procurement.gov.ge/>.

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები.

1.1 სატენდერო წინადადება დანართი №1-ის მიხედვით.

1.2 ფასების ცხრილი დანართი №2-ის შესაბამისად.

1.3 ინფორმაცია წინადადებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების, პირობების და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

შენიშვნა: პრეტენდენტმა პირველ რიგში სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია (შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა) ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) ცნობა - შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

2.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

2.3 როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სისტემაში სატენდერო განცხადების განთავსების თარიღს.

2.4 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით, შემსყიდველ ორგანიზაციაში წარდგენა ხდება, მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.5 პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

2.6. პრეტენდენტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები (ელექტრონული სახით) შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

2.7 პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

3. ფასის გაანგარიშების წესი და ანგარიშსწორების პირობები:

3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით საქართველოს ეროვნული ვალუტით-ლარით.

3.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ანგარიშგაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.5 სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა არ უნდა იყოს ნაკლები სატენდერო წინადადების მიღების დაწყებიდან 60 კალენდარული დღისა.

3.6 დაფინანსების წყარო - სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2011 წლის საკუთარი სახსრები;

4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

4.1 ტენდერში გამოიყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

4.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

5. შესყიდვის ობიექტი, მიწოდების წესი, ვადები და პირობები:

5.1 შესყიდვის ობიექტია 1500 (ათასხუთასი) წყვილი ლაგექსის სამედიცინო არასტერილური ქირურგიული ხელთათმანი (CPV33141420) 9-10 ზომა, დეტალური ინფორმაცია იხილეთ შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები. დანართი № 1;

5.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს ერთ თვეში.

5.3 მიმწოდებელმა მოთხოვნიდან ხუთი დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს მოთხოვნილი საქონლის მიწოდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.

5.4 ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს წუნდებული საქონელი გონივრულ ვადაში ახლით, მაგრამ არაუგვიანეს 7 დღის ვადისა.

6. დამატებითი ინფორმაცია:

6.1 ტენდერში გამოიყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1(ერთი)პროცენტის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 30 კალენდარული დღე დაწყებული გამოცხადებული ტენდერის წინადადებების მიღების დაწყების დღიდან.


6.2. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული წინადადება არ განიხილება .

6.3 პრეტენდენტს უფლება აქვს შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებით, წერილობითი მომართვის საფუძველზე მიიღოს ინფორმაცია და განმარტებები შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი, შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; ოთახი № 406.

საგენდერო ლოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და განმარტებებისათვის მიმართეთ საგენდერო კომისიის აპარატს:

რევაზ სიხარულიძე, ტელ: 51-75-06; 877 603-888; 877 410-276; ელ-ფოსტა: rezosikharulidze@gmail.com

შესყიდვის ობიექტისადმი ტექნიკური მოთხოვნები და მიწოდების ვადები

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის პარამეტრები და ტექნიკური აღწერილობა	გან ზ. ერთ	რა-ბა	მიწოდების ვადები და ადგილი
1	2	3	4	5	7
1	<p>ქირურგიული ხელთათმანები (CPV33141420)</p> 	<p>ლატექსის არასტერილური, არაანატომიური, დაუკუღრავი, სასურველია გექსტურირებული, სამელიცინო ქირურგიული ხელთათმანი. სიგრძე არანაკლებ 25 სმ; უნივერსალური დანიშნულების; ზომები XL (9-10); სასურველია იასამნისფერი, მწვანე; სისქე 0,12 0,20 მმ ფარგლებში; AQL გერმეტიულობის მიხედვით – 1. AQL-მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების მიხედვით 3,5;</p> <p>50 წყვილი ბლოკში. 10 ბლოკიანი საგრანსპორტო ყუთებით.</p>	წყვილი	1500 (ათასხუთასი)	<p>ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში</p> <p>ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11კმ</p> <p>დაცვის პოლიციის ლეპარგამენგი</p>

შენიშვნა:

1. ელექტრონული ვაჭრობის რაუნდების დასრულების შემდეგ, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საქონლის ნიმუშები.

2. შემოთავაზებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს.

3. პრეტენდენტმა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სატენდერო წინადადებაში აუცილებლად უნდა მიუთითოს ინფორმაცია შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების და აღწერილობის, ხარისხის, და ა.შ. შესახებ;

სატენდერო წინადადება

1. ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების და აღწერილობის შესახებ (ტექნიკური პარამეტრები, გამოყენებული მასალა, ტექნოლოგიები, სტანდარტები და სხვა);

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი, (დანართი № 2) ;

3. რეკვიზიტები

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება;
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;
- საინდეფიკაციო კოდი;
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;
- მომსახურე ბანკის დასახელება და კოდი;
- ანგარიშსწორების ანგარიში
- ელექტრონული მისამართი;

4. ინფორმაცია საქონლის მიწოდების კონკრეტული ვადების შესახებ (მოთხოვნიდან რამდენ დღეში განხორციელდება მიწოდება);

5. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა;

- სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის დღიდან არანაკლებ 30 კალენდარული დღე.

6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად და თანხობრივად;

7. შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის ნიმუშ(ებ)ი (სამი სამუშაო დღის ვადაში);

შენიშვნა: სატენდერო წინადადების წარდგენა შესაძლებელი გახდება მხოლოდ სისტემის მეშვეობით ავთენტიკაციის პრობლემებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენის და საფასურის გადახდის შემდეგ, აღნიშნული თანმიმდევრობით;

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	მწარმოებელი ქვეყანა	რაოდენობა (ქალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადები და ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შენიშვნა: საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილის დაზუსტებული ვარიანტი, მოსაწოდებელი საქონლის ფასის მითითებით, თუ ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული შესყიდვის ჯამური ფასი განსხვავდება, სატენდერო განცხადებაში დაფიქსირებულ შესყიდვის სავარაუდო ფასისაგან.

1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი

„-----“ „-----“ 2011წ.

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი (საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №-----სახელმწიფო ხაზინა, კოდი-----, სკ-----), შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, წარმოდგენილი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ ახვლედიანის სახით და -----

(მისამართი: -----, საბანკო რეკვიზიტები: -----), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სკანერებისა და პრინტერების მიწოდება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

- 4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ფასების ცხრილში განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების შესაბამისად;
 - ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
 - გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
- ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
- 5.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფის წევრი.
- 5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი.
6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმარტებული პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-იანი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

11.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-იანი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების ვადას 30 (ოცდაათი) დღით.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
<p>შემსყიდველი საქართველოს შ.ს.ს. სსიპ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე:</p> <p>-----</p> <p>/მიხეილ ახვლედიანი/ ს/კ№ 211350928; თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე- 11 კილომეტრი ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ც/ფ</p>	

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის: _____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____ (მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“ _____ ტენდერში წარდგენილი თავისი
(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზედაკისრებული
ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ
მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები
და პასუხისმგებლები თქვენს წინაშემიწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____ (თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის
საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე. წინამდებარე გარანტია ძალაშია

_____ გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____ (თარიღი)

_____ (მისამართი)

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი/ან ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულია კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

სატენდერო წინადადების ფასი;

სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისაგან თავის შეკავება;

ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ ტენდერის პირობებს;

შესყიდვების ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

- სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტის წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავცანი ამ აფიდავიტის შინაარსს დავადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე, აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.